განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

შეფასების თარიღი: 16 იანვარი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2 მარტი, 2020

თბილისი

2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო საქმე
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საბანკო საქმის მაგისტრი 0412
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ხუნდაძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ბარამიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ომაძე, სს საქართველოს ბანკი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მიხელიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში სეუ ხორციელდება 2010 წლიდან. პროგრამამ აკრედიტაცია გაირა 2015 წელს.

პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. პროგრამის კრედიტების მოცულობაა 120 კრედიტი. პროგრამის კომპონენტების განაწილების სქემა შემდეგნაირია: პროგრამა მოიცავს სავალდებულო სასწავლო კომპონენტს 72 კრედიტის მოცულობით (სასწავლო კურსების ერთიანობა ითვალისწინებს სპეციალობის ძირითადი სასწავლო დისციპლინების შესწავლას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევა), არჩევით სასწავლო კომპონენტს 12 კრედიტის მოცულობით (გათალისწინებულია სასწავლო კურსების შეთავაზება, რომლებიც საშუალებას მიცემს სტუდენტს მიიღოს ცოდნა ამ სასწავლო დისციპლინაში, მაგრამ უშუალოდ არ არის დაკავშირებული საბანკო საქმის სფეროსთან), პრაქტიკულ კომპონენტს 12 კრედიტის მოცულობით (კომპონენტი გულისხმობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას) და კვლევით კომპონენტს 24 კრედიტის მოცულობით (კომპონენტი გულისხმობს სტუდენტისთვის აუცილებელი დარგის კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლას და კვლევითი ნაშრომის - სამაგისტრო თეზისის შესრულებას).

პროგრამის სწავლების ენაა ქართული, გათვალისწინებულია გარკვეული სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე სწავლებაც.

პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს საბანკო საქმის მაგისტრის კვალიფიკაციას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 16 იანვარს. ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრება დღის წესრიგით გათვალისწინებულ ჯგუფებთან (უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პრაქტიკის განმახორციელებლები/დამსაქმებლები).

ვიზიტის მიმდინარეობისას განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. გადამოწმდა სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობა. ასევე, შემოწმდა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე წვდომა.

ვიზიტის ფარგლებში გადაიხედა სამაგისტრო ნაშრომები. წარმოდგენილი იყო დაბალი, საშუალო და მაღალი შეფასების მქონე სამაგისტრო ნაშრომები. ნაშრომებს თან ახლდა

კომისიის შეფასების შედეგები. ადგილზევე გადაიხედა ნაშორომების პლაგიატზე შემოწმების საკითხი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და კურსდამთვარებულებთან და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის შემუშვებისა და განვითარების პროცესში მათი უფრო აქტიური ჩართულობა;
  - რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების განაწილება და სასწავლო კურსებს განესაზღვროს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო საათების და შესაბამისად კრედიტების უფრო ლოგიკური მოცულობა;
  - პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ მეტ დროს უთმობდეს კვლევის რაოდენობრივი მეთოდების შესწავლას, ასევე, მონაცემთა დამუშევისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის სწავლებას (მაგ. SPSS, STATA), ან აღნიშნული მიზნებისთვის შესაძლებელია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს მისცემს რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისა და სტატისტიკურად დამუშვებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს;
  - რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც გაიწერება კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგები;
  - რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ იქნას პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსი, რომელიც განსაზღვრავს კომპონენტით მისაღწევ სწავლის შედეგებს ისე, რომ მეტად შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

- რეკომენდირებულია ხელმძღვანელების მხრიდან უზრუნველყოფილ იყოს სტუდენტებთან ინტენსიური მუშაობა რათა სტუდენტების მიერ სრულად იყოს დაცული ნაშრომების შესრულების წესები;
- აკადემიურმა პერსონალმა მეტად უნდა იაქტიუროს რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების კუთხით;
- რეკომენდებულია მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული შეფასებების, გამოკითხვების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების სისტემატიზაცია პროგრამების მიხედვით; ასევე, გადამოწმდეს პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდგომი ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში გაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის დადგენის სამიზნე ნიშნულები.
2. სასურველია დასაქმებული სტუდენტი, რომელიც ადასტურებს პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების ფლობას, თავისუფლდებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგან ისე, რომ სანაცვლოდ უნივერსიტეტი სთავაზობდეს სხვა კომპონენტისა თუ სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობას;
3. სასურველის დამსაქმებლებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები ითვალისწინებდეს პრაქტიკის ობიექტზე გასაგზავნი სტუდენტების შესაძლო მაქსიმალურ რაოდენობას.
4. სასურველია დაიგეგმოს აქტივობები საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ სტუდენტებში ცნობიერების ამაღლების მიზნით;
5. სასურველია გაიზარდოს პროგრამის განვითარების ბიუჯეტი, კერძოდ, გამოიყოს მეტი თანხები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გადაუდებელი ღონისძიებებისთვის
6. სასურველია კვლევების/გამოკითხვების/ თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გაიწეროს კონკრეტული სამოქმედო გეგმები. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სამაგისტრო პროგრამის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ – ანგარიშგების გაუმჯობესებას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების/ რეაგირების შედარების გზით;
7. სასურველია გარე ექსპერტ-შემფასებლების რეგულარული მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მისი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

    1. სტუდენტთა ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული საგამოცდო სისტემის დანერგვა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამას აქვს ნათლად ფორმულირებული მიზანი, რომლის თანახმადაც პროგრამა მიმართულია საბანკო-საფინანსო სფეროსათვის საჭირო თეორიული ცოდნის სრულყოფისკენ და ისეთი უნარების განვითარებისკენ, როგორიცაა აღნიშნული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ბანკის/საკრედიტო ორგანიზაციის სტრატეგიის ფორმირებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობის უნარი, პრობლემათა დამოუკიდებლად იდენტიფიცირებისა და მათი ეფექტურად გადაჭრის ახალი ორიგინალური გზების გენერირების უნარი, რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და შედეგების დადასტურების უნარი. ამდენად, პროგრამის მიზნები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს რის განვითარებასაც პროგრამა კურსდამთავრებულებისთვის უზრუნველყოფს. პროგრამით დასახული მიზნები რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომლის თანახმადაც უნივერისტეტი უზრუნველყოფს ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას. პროგრამა თავისი შინაარსით და შესაბამისად, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს. უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა ემსახურებოდა პროგრამის მოთხოვნადობის დადგენასა და ამსთანავე, მოთხოვნადი პროფესიონალებისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების იდენტიფიცირებას, რომლის გაანალიზებისა და გათვალისწინების შედეგად პროგრამა მოთხოვნებზე ორიენტირებული და მორგებული გახადა. პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერისტეტის ვებ-გვერდზე: http://www.seu.edu.ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში

- ფინასნებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის მიზნები
- უნივერსიტეტის მისია
- შრომის ბაზრის კვლევა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრმის ფარგლებში შემუშვებულია პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის რუკა, რაც თვალსაჩინოს ხდის აღნიშნულ შესაბამისობას.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს. მაგალითად, საბანკო სფეროში არსებული ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და პრევენციის ღონისძიებების განსაზღვრა; თანამედროვე მიდგომების გამოყენება საკრედიტო-საბანკო სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის ახალი გზების გენერირებისთვის, საფინანსო-საკრედიტო სფეროში რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკული

ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური მეთოდებით შეფასება და საკუთარი არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება და ა.შ.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამით დასახული შედეგები მიღწევადია.

სწავლი შედეგების შემუშავების პროცესში დასტურდება პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ჩართულობა, მათ მიერ დასახელებული იქნა კონკრეტული რეკომენდაციები რისი გათვალისწინებაც პროგრამის განახლებისა და შედეგების ფორმირების პროცესში მოხდა. თუმცა სასურველია ამ მხრივ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობა, მათთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, რაც ასევე ხელს შეუწყობს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების ბაზრის მოთხოვნებზე მეტად მორგებას.

პროგრამის ფარგლებში აგებულია სწავლის შედეგების რუკა, რაც თვალსაჩნოს ხდის პროგრამით შეთავაზებული კომპონენტებით პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. უზრუნველყოფილია პროგრამით დასახული სწავლის შედეგების პროგრამის სავალდებულო კომპონენტებით მიღწევის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია. მეთოდლოგიის თანახმად პროგრამის სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. შეფასების პირდაპირ მეთოდად გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ხოლო არაპირდაპირ მეთოდად - დაინტერესებული მხარის გამოკითხვის შედეგები. ინტერვიუების საფუძველზე დაზუსტდა შედეგების შეფასების მექანიზმების ფარგლებში დადგენილი სამიზნე ნიშნულები, რის საფუძვლეზეც განისაზღვრება პროგრამის სწავლის შედეგების სტუდენტების მიერ მიღწევა. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშები, კერძოდ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები. დასახელდა მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენების შემთხვევები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი, ამდენად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება არა ერთი შემფასებლის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა
- სწავლის შედეგების რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- აკადემიური მოსწრების შეფასების ანალიზი

○ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და კურსდამთავარებულებთან და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის განვითარების პროცესში მათი უფრო აქტიური ჩართულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში გაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის დადგენის სამიზნე ნიშნულები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრულია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ასევე ინგლისურ ენაში გამოცდის ჩაბარება ან დოკუმენტურად დადასტურება. სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას, კერძოდ ინგლისურ ენაზე შეთავაზებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევას, გარკვეულ სასწავლო კურსებში გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის წაკითხვასა და გაგებას, კვლევითი კომპონენტის შესრულებას და ამ პროცესში ელ. ბაზების ეფექტურად გამოყენების ხელშეწყობას. ამდენად, პროგრამაზე დაშვების აღნიშნული წინაპირობები ლოგიკურია, დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ინტერვიუების შედეგად პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული და აკადემიური პერსონალი ადასტურებს პროგრამაზე საჭირო ცდონისა და უნარების მქონე სტუდენტების არსებობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია, დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://www.seu.edu.ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ○ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშვების, შეფასებისა და განვითარების წესი. საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია აღნიშნული წესის შესაბამისად. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, რაც განაწილებულია სასწავლო, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს შორის. სასწავლო კომპონენტისთვის განკუთვნილია 84 კრედიტი, აღნიშნული კრედიტების მოცულობა ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს (სავალდებულო სასწავლო კურსები - 72 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები - 12 კრედიტი), პრაქტიკულ კომპონენტზე - 12 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტზე - 24 კრედიტი. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისთვის განკუთვლინია 84 კრედიტი. ამდენად პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების ერთობლიობა შესაძლებელს ხდის პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების, პრაქტიკული და კვლევითი

კომპონენტის თანმიმდევრობა ლოგიკურია და სათანადოდაა განსაზღვრული თითოეულ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები. ინტერვიუების საფუძვლეზე დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობა. როგორც უკვე აღინიშნა მათ მიერ სახელდება კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა პროგრამის განვითარების პროცესში. თუმცა, კვლავ სასურველია მეტად იქნეს უზრუნველყოფილი აღნიშნულ პროცესში კურსდამთვრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა, მათი მხრიდან მეტი ჩართულობა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობდა პროგრამის მეტად განვითარებასა და პროგრამას ბაზრის მოთხოვნებზე მეტად მორგებულს გახდიდა. პროგრამის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://www.seu.edu.ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშვების, შეფასებისა და განვითარების წესი ○ ინტერვიუს შედეგები ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია პროგრამის შემუშვებისა და განვითარების პროცესში მეტად იყოს უზრუნველყოფილი დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამით განსაზღრული ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ფარგლებში შემუშვებულია სწავლის შედეგების რუკა, რაც თვალსაჩინოს ხდის აღნიშნულ შესაბამისობას. შესაბამისობაშია ასევე თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი ამავე სასწავლო კურსებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრულია სტანდარტული მოცულობის კრედიტები, ყველა სასწავლო კურსისთვის განკუთვნილია 6 კრედიტი. ვთვლით, რომ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული გარკვეული სასწავლო კურსები საჭიროებს განსხვავებული მოცულობის სამუშაო საათებს, ამ სასწავლო კურსებით განსაზღვული შედეგების მისაღწევად, მაგალითად, ვთვლით, რომ სასწავლო კურსით „ფინანსური ინსტიტუტები და საბანკო საქმე“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭიროა ნაკლები მოცულობის სამუშაო საათები, ვიდრე სასწავლო კურსებით „საბანკო რისკების მენეჯმენტი“, „საბანკო აუდიტი“, „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ და ა.შ. განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების განაწილება და სასწავლო კურსებს განესაზღვროს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო საათების და შესაბამისად კრედიტების უფრო ლოგიკური მოცულობა.

სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება შესაძლებელია სასწავლო კურსით განსაზღვრული შეფასების მეთოდებით.

სასწავლო კურსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა მეტწილად თანამედროვეა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან

რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების განაწილება და სასწავლო კურსებს განესაზღვროს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო საათების და შესაბამისად კრედიტების უფრო ლოგიკური მოცულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფს კვლევითი უნარების განვითარებას სასწავლო კურსის „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ ფარგლებში, ასევე კვლევითი კომპონენტის, სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით. სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ მოიცავს მნიშვნელოვან საკვანძო საკითხებს, თუმცა მეტწილად ორიენტირებულია თვისებრივი კვლევის მეთოდების სწავლებაზე და ნაკლები ყურადღება ეთმობა კვლევის რაოდენობრივი მეთოდების სწავლებას. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ვთვლით, რომ მნიშვნელოვანია სასწავლო კურსი მეტ დროს უთმობდეს კვლევის რაოდენობრივი მეთოდების შესწავლას, ასევე, მონაცემთა დამუშევისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის სწავლებას (მაგ. SPSS, STATA), რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა სტუდენტთა უნარს უკეთესი ხარისხით შეასრულონ სამაგისტრო ნაშრომები საბანკო საქმის სფეროსთან დაკავშირებით. ან აღნიშნული მიზნებისთვის შესაძლებელია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს მისცემს რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისა და სტატისტიკურად დამუშვებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს.

პროგრამის ფარგლებში არ არის შემუშვებული სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესს არეგულირებს დოკუმენტი „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი“. დოკუმენტი აღწერს ნაშრომის ტექნიკურად გაფორმების, შეფასების წესებს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლითაც განისაზღვრება კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავდა პრაქტიკის სილაბუსს. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა პრაქტიკის სილაბუსი, თუმცა სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგები იყო ზოგადი და ნაკლებად მორგებული პროგრამის შინაარსა და სწავლის შედეგებზე. რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ იქნას პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსი, რომელიც განსაზღვრავს კომპონენტით მისაღწევ სწავლის შედეგებს ისე, რომ მეტად შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტს 12 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე. აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დასაქმებულია და პროგრამის პრაქტიკული კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების ფლობას ადასტურებს დოკუმენტურად, იგი შეიძლება გათავისუფლდეს კომპონენტისგან (თუმცა აწარმოებს ანგარიშს და ახდენს პრაქტიკის დაცვას), ამ შემთხვევაში სტუდენტს ეთვლება კომპონენტის 12 კრედიტი და იგი იხდის აღნიშნული კრედიტების მოცულობის საფასურს. სასურველია აღნიშნულ შემთხვევაში სტუდენტი თავისუფლდებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგან ისე, რომ სანაცვლოდ უნივერსიტეტი სთავაზობდეს სხვა სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობას. პრაქტიკის გავლის შემთხვევაში სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტზე ხელმძღვანელობას უწევს მენტორი, რომელიც აფასებს მის საქმიანობას პრაქტიკის ობიექტზე. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები. რიგ შემთხვევებში დამსაქმებლებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე გასაგზავნი სტუდენტების შესაძლო მაქსიმალურ რაოდენობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:

- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ მეტ დროს უთმობდეს კვლევის რაოდენობრივი მეთოდების შესწავლას, ასევე, მონაცემთა დამუშევისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის სწავლებას (მაგ. SPSS, STATA), ან აღნიშნული მიზნებისთვის შესაძლებელია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს მისცემს რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისა და სტატისტიკურად დამუშვებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს;
- რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც გაიწერება კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგები;
- რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში შემშავებულ იქნას პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსი, რომელიც განსაზღვრავს კომპონენტით მისაღწევ სწავლის შედეგებს ისე, რომ მეტად შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დასაქმებული სტუდენტი, რომელიც ადასტურებს პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების ფლობას, თავისუფლდებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგან ისე, რომ სანაცვლოდ უნივერსიტეტი სთავაზობდეს სხვა სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობას;
- სასურველია დამსაქმებლებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები ითვალისწინებდეს პრაქტიკის ობიექტზე გასაგზავნი სტუდენტების შესაძლო მაქსიმალურ რაოდენობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია სწავლება-სწავლის ადეკვატური მეთოდები:

ლექცია, ჯგუფური მუშაობა, ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის მეთოდები, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს. მაგალითად, სასწავლო კურსის ფარგლებში, რომლის სწავლის შედეგია „ახდენს რისკების ურთიერთზემოქმედების საკითხების სრულყოფას, კრიტიკული ანალიზისა და ახალი გადაწყვეტილებების გზების გენერირებას; აყალიბებს ეკონომიკური, ფინანსური და საკრედიტო რისკების შეფასების შესახებ დასკვნებსა და არგუმენტებს“, გამოყენებულია დისკუსია/დებატების მეთოდი; სასწავლო კურსის ფარგლებში, რომლის სწავლის შედეგია „სიღრმისეულად იცნობს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმოებას; მოიპოვებს კომერციული ბანკის ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგებისთვის საჭირო ინფორმაციას და იყენებს მისი დამუშავების ხერხებს; ამზადებს კომერციული ბანკის საცდელ ბალანსს, საბალანსო უწყისს, მოგება-ზარალის უწყისს, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს“, გამოყენებულია შემთხვევის ანალიზი, სწავლების პრაქტიკული მეთოდები და ა.შ. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლების აღნიშნული მეთოდები ადეკვატურია, შეესაბამება სწავლების საფეხურს და შესაძლებელს ხდის პროგრმითა და სასწავლო კურსებით განსაზღრული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის („სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“) მიხედვით. შეფასების პროცედურა გამჭირვალეა სტუდენტებისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია. დოკუმენტი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია უნივესიტეტის ვებ-გვერდზე: https://www.seu.edu.ge/ შეფასების სტრუქტურა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას. სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, საიდანაც 70 ქულა ეთმობა მიმდინარე და შუალედურ შეფასებას, ხოლო 30 ქულა - დასკვნით გამოცდას. როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული საგამოცდო სისტემა. სტუდენტებს ეძლევათ თავისუფლება თავად აირჩიონ მათთვის სასურველი დრო როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად. შუალედური გამოცდის ჩაბარება შეუძლიათ ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო დასკვნითი გამოცდის - ორი კვირის განმავლობაში. შეფასების თანასწორი, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომების უზრუნველსაყოფად ლექტორთან მიდის დაშიფრული ნაშრომი და იგი ვერ ხედავს საგამოცდო ნაშრომის ავტორის სახელსა და გვარს. ლექტორებს აქვთ შესაძლებლობა საგამოცდო ნაშრომს თან დაურთონ კომენტარები ელექტრონულ პორტალში. შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ უკუკავშირი სწავლის შედეგებზე. უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება. გასაურების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ჯერ მათ არ დასჭირვებიათ შეფასების გასაჩივრება, თუმცა ინფორმირებულები არიან აღნიშნული პროცედურების შესახებ. შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გაწერილია უნივერსიტეტში მოქმედ დოკუმენტში „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი“. სამაგისტრო ნაშრომის აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული შეფასების სისტემა შესაბმისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3

ბრძანებით დადგენილ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ უნივერისიტეტის ვებ-გვერდი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) ○ სტუდენტთა ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული საგამოცდო სისტემის დანერგვა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც სტუდენტური პორტალის (seu.ini.ge) მეშვეობით, აგრეთვე უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და ლექტორებთან საკონსულტაციო შეხვედრების გზით. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირის ინდივიდუალურ დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. გასაუბრების დროს საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. თუმცა, სტუდენტების მხრიდან ჩართულობის დონე დაბალია. უნივერსიტეტში არსებული პროექტებისა და მობილობის შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ადმისნიტრაციისგან, ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სეუ-ს აკადემიური თანამდებობის მქონე პირი ან მოწვეული ლექტორი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით. გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მოწვეული პირიც.

სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება სამაგისტრო პროგრამის მეოთხე (ბოლო) სემესტრში, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. თემის შერჩევა კი ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე.

მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესი რეგულირდება უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტით „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი“.

სტუდენტები ნაკლებად იყენებენ საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებს, რომლებიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტში. სამაგისტრო ნაშრომებშიც ნაკლებადაა გამოყენებული სამეცნიერო წყაროები. ამდენად, სასურველია დაიგეგმოს აქტივობები საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ სტუდენტებში ცნობიერების ამაღლების მიზნით.

სამაგისტრო ნაშრომების შერულებისას მნიშვნელოვანია სტუდენტების მიერ დაცული იყოს ნაშრომების შესრულების წესები. გარკვეულ შემთხვევებში არ არის დაცული რეფერირების მოთხოვნები, გარკვეულ შემთხვევებში სამაგისტრო ნაშრომი არ აღწერს ნაშრომის ფარგლებში გამოყენებულ კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს. რეკომენდირებულია ხელმძღვანელების მხრიდან აღნიშნული მიმართულებით სტუდენტებთან უფრო ინტენსიური მუშაობა.

სამაგისტრო ნაშრომებში წყაროების მითითების, სტილისა და ფორმატის უზრუნველსაყოფად სასურველია „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების წესში“ დაკონკრეტდეს საერთაშორისოდ აღიარებული რომელი ტიპის აკადემიური სტილით განხორციელდეს (მაგ. ჩიკაგოს სტილი და ა.შ.) სამაგისტრო ნაშრომების შესრულება, გაფორმება და წყაროების მითითება. თვითშეფასების და ინტერვიუების შედეგების მიხედვით სტუდენტს შეუძლია აირჩიოს კვალიფიციური ხელმძღვანელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი ○ ინტერვიუს შედეგები ○ სამაგისტრო ნაშრომები
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია ხელმძღვანელების მხრიდან უზრუნველყოფილ იყოს სტუდენტებთან ინტენსიური მუშაობა რათა სტუდენტების მიერ სრულად იყოს დაცული ნაშრომების შესრულების წესები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია დაიგეგმოს აქტივობები საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ სტუდენტებში ცნობიერების ამაღლების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები,	✓			

მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბანკო საქმის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამას წარმართავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამაში ჩართული პერსონალი ფლობს პრაქტიკულ გამოცდილებას. მათ გააჩნიათ შესაბამისი დარგის თეორიის, პრაქტიკისა და მეთოდების პროფესიული უნარები. საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განსაზღვრულია 24 აკადემიური /მოწვეული პერსონალით, მათ შორის 16 აკადემიური, 8–მოწვეული. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის პროფესორ-მასწავლებლების პუბლიკაციები (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები) და მათი მონაწილეობა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში და ტრენინგებში. თუმცა, პროფესორების შერჩევა

ხორციელდება როგორც ღია საკონკუნკურსო, ასევე გასაუბრების შეედეგად, კადრების დენადობა ნაკლება, გამოიკვეთა 10 წელზე მეტი ხნის პროფესორ –მასწავლებლებიც.

პროგრამის განმაორციელებელი აკადემიური/ სასმეცნიერო დამოწვეული პერსონალის რაოდეობა და პროგრამაში ჩართული აკადემიული პერსონალის დატვირთვის სქემა ძირითადად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის და სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება, მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში

დანერგილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა, რომლის შედეგები გამოიყენება პერსონალის განვითარების, წახალისების ან შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და გულისხმობს როგორც პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების, ასევე კვლევითი აქტივობის, პროგრამის განვითარებაში ჩართულობის, პროფესიული განვითარებისა და სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლების ურთიერთშეჯერებას. ადმინისტრაციული პერსონალით და აკადემიური კორპუსით სტუდენტების კმაყოფილება მოწმდება ყოველ სემესტრულად.

ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპენეტიის მქონე ადმინისტრაიული და დამხმარე პერსონალით, ასევე არის რიგი შემთხვევები როდესაც ფაკულტეტი ასაქმებს წარჩინებულ კურსდამთავრებულებს სხვადასხვა თანამდებობებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://www.seu.edu.ge
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. შეფასების მიზანია უნივერსიტეტის და თანამშრომლის მუშაობის ხარისხისა და შედეგების გაუმჯობესება. გარდა ამისა, შეფასების მიზანია თანამშრომლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა. ასევე, შეფასების საშუალებით უნივერსიტეტი იღებს ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება მომავალში საკადრო გადაწყვეტილებების მისაღებად. გამოსაყოფია ეფექტიანი მომსახურების ტრეინინგი სეუ-ს თანამშრომლებისთვის, რომლის მიხედვითაც აქცენტირება გაკეთებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითებზე, როგორიცაა: საუკეთესო პერსონალის ქცევა, მეგობრული, თავაზიანი და დადებითად დამუხტული კოლეგები, რომელთან იპტიმისტურ და მზრუნველ პოზიტიურ განწყობას დიდი ყურადღება დაუთმეს. შეფასების პროცედურა შედგება შემდეგი ეტაპებისგან: დაგეგმვა–შეფასება–შეჯამება, აქტივობების დაგეგმვა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება შემდეგი სუბიექტების მიერ: სტუდენტები - ავსებენ კომპეტენციების კითხვარს; ვიცე რექტორი - აფასებს ყველა კომპონენტის მიხევით; პროგრამის ხელმძღვანელი - აფასებს ყველა კომპონენტის მიხევით; ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - აფასებს ყველა კომპონენტის მიხევით. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური - აფასებს ყველა კომპონენტის მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, ყოველი სემესტრის ბოლოს ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ; ესწრება ლექციებს სემესტრის მიმდინარეობისას; აკეთებს ანალიზს და რეკომენდაციებს წარუდგენს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხდება უნივერსიტეტის „აკადემიური კორპუსის კვლევითი საქმიანობის შეფასების სქემის“ მიხედვით სქემა არის განვითარებაზე და ჩართულობის გაზრდაზე ორიენტირებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია აკადემიური კორპუსის კვლევითი პოტენციალის განვითარება, საჭიროებების იდენტიფიცირება და ჩართულობის გაზრდის მიმართულებების დასახვა. აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე ისახება კვლევითი პოტენციალის განვითარების სტრატეგია და იგეგმება ღონისძიებები. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოკრძალებულია აკადემიური და/ან მოწვეული, პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა საერთაშორისო იმპაქტ ფაქტორის მქონე გამოცემებსა და ღონისძიებებში. არ ხდება საერთაშორისო ელექტრონული ბაზების ინტენსიური გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ○ პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები ○ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი ○ აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასები სქემა.
რეკომენდაციები: ○ აკადემიურმა პერსონალმა მეტად უნდა იაქტიუროს რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების კუთხით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

- პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ–ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას. უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი კამპუსი. არსებულ საბიბლიოთეკო ბაზაში შერჩევის მეთოდით შემოწმების შედეგად დადგინდა შესაბამისობა სილაბუსებში არსებული და ბიბლიოთეკაში დაცული ლიტერატურისა და წყაროების. ამ მხრივ უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე, უახლესი ტექნიკით და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, რაც სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას უწყობს ხელს.

სტუდენტების წახალისების, მათი პრაქტიკული უნარ/ჩვევების გაძლიერების მიზნით უნივერსიტეტის ბაზაზე გამოყოფილია შესაბამისი სივრცე და მოქმედებს შესაბამისი პროფილის ორგანიზაციები (მიკროსაფინანსო კომპანია და ტურისტულიკომპანია), რაც ეხმარება სტუდენტებს საჭიროა პრაქტიკული უნარების გაძლიერებაში და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში.

გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შეისწავლონ და გამოიყენონ საწარმოთა რესურსის მართვის (ERP) პროგრამული უზრუნველყოფა 1C რაც მნიშვნელოვანი კომპეტენციაა კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის

უნივერსიტეტი ჩართულია იმ გლობალურ პროექტში, რასაც ახორციელებს ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე. სტუდენტებისთვის და აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. მათ შორის:

- Cambridge Journals Online

- e-Duke Journals Scholarly Collection
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books
- IMechE Journals
- Royal Society Journals Collection
- Openedition Journals
- Scopus
- Science Direct
- ELSEVIER

უნივერსიტეტის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა და კომპიუტერული რესურსი სრულად ესადაგება სტუდენტებში აუცილებელი უნარების ფორმირებას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას და შესაბამისი კომპიუტერული საოფისე პროგრამებით მომსახურებასა და შესწავლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან
- ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით, მასში ასახული შემოსავალ-გასავლების კატეგორიების მიხედვით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია შემდეგი მუხლები: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის და კომუნალური ხარჯები. ასევე გათვალისწინებულია ხარჯები პროგრამის განვითარებისათვის. სტუდენტების, ჯგუფების, სასწავლო კრედიტების რაოდენობის და კრედიტის საფასურის გათვალისწინებით ახორციელებს საპროგნოზო შემოსავალის გაანგარიშებას. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა, სამეცნიერო ნაშრომების გამოცემა-დაბეჭდვაზე გაწეული ხარჯები. პროგრამის ბიუჯეტში ასახულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო მივლინებებისა და სტუდენტების დაფინანსება გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში. სასურველია გაიზარდოს პროგრამის განვითარების ბიუჯეტი, კერძოდ, გამოიყოს მეტი თანხები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ღონისძიებებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის ბიუჯეტი ○ პროგრამის ბიუჯეტის შედგენის წესი ○ ინტერვიუები ფაკულტეტის და პროგრამის ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გაიზარდოს პროგრამის განვითარების ბიუჯეტი, კერძოდ, გამოიყოს მეტი თანხები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ღონისძიებებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტში რეგულირდება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შემუშავებულია PDCA პრინციპების შესაბამისად – დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და რეაგირება. ამ პრინციპების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის მხრივ განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმიანობის შესაფასებელ ასპექტებს, შეფასების თანმიმდევრობას, თავად აფასებს ან/და შეფასების მიზნით ქმნის შესაბამისი კომპეტენციების მქონე შემფასებელთა ჯგუფს, შეფასების საფუძველზე აანალიზებს მიღებულ შედეგებს, შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და გაუმჯობესებისათვის. თუმცა, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით ახდენდეს შესაბამისი სამსახურების რეაგირებისა თუ საკუთარი ქმედებების შედეგების სისტემურ შეფასებასა და

გაანალიზებას. სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების შედგენის პროცესში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ჩართულობა დასტურდება ინტერვიუების შედეგად. დასახელდა და აღწერილ იქნა პროცესში მონაწილეობის დამადასტურებელი შემთხვევები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების პროცესში ჩართული პერსონალი მუშაობის პროცესში მუშაობდა არა მხოლოდ ნაკლოვანებების გამოვლენის მიმართულებით, არამედ აანალიზებდა გამოვლენილ ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების ქმედებებსა და გზებს. აღნიშნული დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით, სადაც ყოველი გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების შემდეგ დასახელებული და აღწერილია გაუმჯობესების გზები. პროგრამის განვითარებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ტრენინგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა ფაქტობრივი მასალა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების/ტრენინგების შესახებ. აკადემიური კორპუსის ინსტიტუციური შეფასების 2018-2019 დოკუმენტის თანახმად პროფესიული განვითარების ტრენინგებში პროფესორთა 25.4%-მა მიიღო მონაწილობა, ხოლო მათი 70% დადებითად აფასებს ჩატარებულ ღონისძიებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითსეფასების ანაგრიში ○ საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, 2018 ○ პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ○ აკადემიური კორპუსის ინსტიტუციური შეფასება 2018-2019 ○ კომპეტენციების შეფასების კითხვარი კურსდამთავრებულებისთვის ○ ინტერვიუები ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით ახდენდეს შესაბამისი სამსახურების რეაგირებისა თუ საკუთარი ქმედებების შედეგების სისტემურ შეფასებასა და გაანალიზებას
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმის სახით იყენებს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნებს და წარმოადგენს მათში მოცემული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ჩამონათვალს. დასტურდება აკრედიტაციის პროცესში საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამაზე მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება და პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. კერძოდ პროგრამის სპეციალობის სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსები „ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი“, „ფინანსური ინსტიტუტები და საბანკო საქმე“, „საბანკო აუდიტი“, „ინვესტიციები და საინვესტიციო პროექტები“. მოდიფიცირდა სასწავლო კურსების დასახელებები. სასწავლო კურსი „საფინანსო სამართალი სავალდებულო სასწავლო კურსებიდან გადავიდა არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალში და ა.შ. როგორც ვიზიტის მიმდინარეობისას წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება, ასევე, ხორციელდება სამაგისტრო პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. სამაგისტრო პროგრამის შეფასება მოწვეული სპეციალისტების/ უცხოელი ექსპერტების მიერ ეპიზოდურად ხორციელდება, სისტემატური მუშაობა ამ მიმართულებით ხელს შეუწყობდა პროგრამის განვითარება/სრულყოფას. ასეთი შეფასებების მოპოვების შესაძლებლობას უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები იძლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საბანკო საქმე“ ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები 2018 ○ პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი

○ ანალოგი პროგრამების ანალიზი – საბანკო საქმე ○ ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გარე ექსპერტ-შემფასებლების რეგულარული მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მისი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის პროცესში მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული მხარე, რაც დასტურდება ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე. ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, მათი კმაყოფილების კვლევა და შეფასებების ანალიზი. კითხვები ეხება შემდეგ საკითხებს: სასწავლო კომპონენტების შეფასება; სტუდენტის მიერ კომპეტენციების მიღწევადობა; სწავლების მეთოდების ეფექტურობისა და სასწავლო კურსის განმახორციელებლების შეფასება და ა.შ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა რეგულარულად ხორციელდება სპეციალურად შემუშავებული კითხვარებით.

ასევე ხორციელდება პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ, აღნიშნული მიზნით ტარდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები. თუმცა როგორც აღინიშნა რეკომენდირებულია ამ მხრივ დამსაქმებლებთან და პროგრამის კურსდამათავრებულებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა.

აღნიშნული დოკუმენტაცია – კითხვარები, კვლევები, შეფასებები, საკმაოდ მოცულობითია და მათი ქაოტური მოწოდება როგორც ვიზიტამდე, ისე ვიზიტის მიმდინარეობისას მნიშვნელოვნად ართულებდა ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას. იგულისხმება ის, რომ მთლიანი წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასისტემატიზირებული და არასტრუქტურირებულია. საბუთის დასახელება ხშირად არ ასახავდა ან საერთოდ განსხვავედებოდა მათი შინაარსისგან, დოკუმენტაცია (პერსონალის პირადი საქმეები, ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასებები წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით) ვიზიტამდე არ იყო წარმოდგენილი სრულად, დაფიქსირდა სხვადასხვა ხარისხის და მოცულობის აცდენები, მაგალითად, არაადეკვატური აღმოჩნდა თვითშეფასების ანგარიშში მოცემული პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები; ასევე არ ემთხვევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ კვლევის მონაცემებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო 5 წლის განმავლობაში).

რაც შეეხება პროგრამის მონიტორინგს, იგი იმ შემთხვევაშია ეფექტური, როდესაც არსებობს შემუშავებული გეგმა და სამიზნე ნიშნულები. ასეთი მიდგომა მონიტორინგის უკეთ სტრუქტურიზების საშუალებას იძლევა პროგრამის პერიოდულ შემოწმების და შემდგომ განვითარების თვალსაზრისით. ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვა გაცილებით დააჩქარებს იმ სისუსტეების დაძლევას, რაც პროგრამულ ნაწილშია ასახული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, 2018
- პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი
- გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან და პროგრამის კურსდამათავრებულებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა პროგრამის შეფასებისა და განვითრების მიზნით;
- რეკომენდირებულია მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული შეფასებების, გამოკითხვების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების სისტემატიზაცია პროგრამების მიხედვით; ასევე, გადამოწმდეს პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდგომი ტექნიკური ხარვეზების თავიდან

აცილების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სოფიო ხუნდაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მაია ბარამიძე

ანა მიხელიძე

ქრისტინე ომაძე